



კურევები იზალიაში

პაპის ოღარი, მამის ღოღარი
დღეს ღე-გასპერის ჩომში ჩომ არი,
პრესა, სიცრუე და თვალთმაქცობა
ერთი ზონარით შესაკონარი,

ღრუბლების აღყა, ჩაღიოტაღლა
ღვთის ჩისხვასავით გასაგონარი,—
იბრძოდა ისევ, ჩომ შეეცდინა
ხაღლი ნატანჭი და ნაომარი...

მაგრამ მშრომელი კაცი ღინჯია:
მხოლოდ მშვიდობის გზა აირჩია!
გოგოთურ მიზრია ული

ბ ი ბ ი ბ ი ბ ი

საბჭოთა კავკასიონი აჯანყულია
ჟემაგი ნიბების ნაკითება:

| | |
|------------|--|
| ღოღე | „ჩართარე ჩარასონედა“ |
| სერვაციესი | „ღოღ კიხოზი“ |
| ღიუმა | „სამი მუმა ერთიანი“ |
| ღიუმა | „ოში ნაის შემდეგ“ |
| კონე ღოიღი | „ვაროვა სოლმისი“ |
| კონიენი | „ციტაზელი“ |
| რასე | „ბარო მიუნენა- უზენის თავადა- სავალი“ და სხვ. და სხვ. |



ბარო მიუნენა-უზენი—აფხაზი, რა პირველია დავკაოგე...

ბიძის ბარათი

— საგანი მოამზადე და ისე მოდი. — ცივად უთხრა გა-
მომცდელმა ნიკოს და გარეთ ისე აულელვებლად გამოუშვა,
თითქოს ბუხხალტერაში სტიპენდიის ასალებად გზავნიდა.

ეს იყო კუშინ. დღეს კი, გამოცდების ჩაბარების უკანას-
კელი დღეა. რა ქნას? სტიპენდია ამ სემესტრშიც ეკარგე-
ბა. ამხანაგებს უცემ მოსწყდა და გოკიელისებური სისწრაფით
მეორე კორპუსისაკენ გაიქცა, პარტბიუროს მდინარის (თავისი
ლვიძლი ბიძის) კაბინეტის კარები სწრაფად შეალო და ბი-
ძის სულმოუთქმელად მიაყარა:

— ვიღუპები, საგანი ჩაბარებელი მრჩება, დამეხმარე,
მიშველე! მეტი ხომ არაფერი მითხვოვია ჩემს სიცოცხლეში!

ბიძამ დიღხანს უყურა ძმისშვილს. ამ დიდ ხანში სამჯერ
გააცილა და გააცხელა ნიკოს, პარტბიუროს მდინარის სახეზე კი
ჯერ სიბრაზის ალმა გადაირბინა, შემდეგ სიბრალულის... შემ-
დეგ ქალალდებ წითელი ფანქრით დაიწყო წერა:

„ეს სტუდენტი ჩემი ძმისშვილია...“

ნიკო სიხარულისაგან უნდარად შეტოკდა და ტკბილ
ოცნებაში გახვეულმა ქალალდ თვალები მოსწყვიტა.

სულ მალე ბიძამ დახურული უმისამართო ბარათი გა-
დასკა და უთხრა: „ყველა გამომცდელის მისამართით არის“. ათიოდე წუთის შემდეგ ნიკომ თავისი თავი გამომცდე-
ლის მაგიდასთან აღმოაჩინა. დაჯდა, ბილეთი აიღო და გამო-
მცდელს ბიძის ბარათი გაუწიდა. ამ უკანასკნელმა ბარათი
ხელშიც კი არ შეატრიალა, მანივე გვერდებ გადადო...“

ნიკომ ზოგი ყურმოკრულით, ზოგი თავისით, ფეხდაფეხ
გამოგონილი ცოდნით ყველა საკითხი „ამოწერა“, მაგრამ
ლექტორმა მაინც ორიანი შესთავაზა! ამა უყურეთ, რანაირი
გამომცდელია! არ იფიქრა, რომ ალელვებულ ნიკოს უჭირდა
მიმზიდველობის კანონის აღმოჩენა, — ნიუტონის თავი ხომ არ
ება? მერე ეს ბარათი? რატომ არ კითხულობს ბიძის ბარათს?

— წერილი წაიკითხეთ, პატივცემულო ლექტორო...—
შეგედა მან ბოლოს.
აი, კიდევ ხათაბალა! წერილს დირექციის წინაშე წვი-
კითხავო“. — ცივად უთხრა გამომცდელმა. ნიკოს თვალი და-

უბნელდა: ეს ხომ მისი და ბიძის ერთად შერცხვენა იქნებოდა! შუბლზე თითო მიიღო და წელან თუ მიმზიდველობის კა-
ნონის „აღმოჩენას“ ცდილობდა, ახლა ამ უბედურებიდან თა-
ვის დაღწევის ხერხის აღმოჩენაზე დაფიქრდა. რამდენი შიშის
და ალელვების ოფლი დაღვარა, ნუ იკითხავთ, მხოლოდ ის წე-
რილი მაგიდან ისე გააქრო, რომ კიოსაც კი შეშურდებოდა. დერეფანში გამოსულმა წერილი გულზე მიიკრა და თავი-
სუფლად ამოისუნთქა.

მაგრამ ფიქრის დრო სად იყო? დოცენტი ბარათს
მოიკითხავდა, დეკანტი — გამოცდების შედევრს, ხოლო ნი-
კოს კი — ორიანი.

„ყველა გამომცდელის მისამართით არის“ გაიხსენა ბი-
ძის სიტყვები და ახლა პროფესორის მაგიდასთან გაჩნდა.

— პატივცემულო პროფესორო, თქვენი დოცენტი შესა-
ფერ ნიშანს არ მიწერს, გთხოვთ გამომცადოთ.

„დაბრძანდით“-ო უთხრა თუ არა კეთილმა პროფესორ-
მა, ნიკომ მაშინვე ბარათი გაუწიდა.

— როგორ, დახმარების თხოვნაა? — იკითხა პროფესორ-
მა და სახე აუწითლდა.

— არა, პატივცემულო პროფესორო, ცოტაოდენი პრო-
ცეპიის... თქვენი ძვირფასი მეგობრები არა მყავს! — გაბრაზდა პრო-
ფესორი, ბარათს ნაბირი ჩაბათი და თვალი გადაავლო.

„გასტეხს ქვასაცა მაგარსა“, გაითქმა ნიკომ, როცა
პროფესორის სახეზე ლიმილი დაინახა. ამ უკანასკნელმა კი
მხამალლა წაიკითხა ბარათი:

„ეს სტუდენტი ჩემი ძმისშვილია. ზუსტად შეამოწმეთ
მისი ცოდნა და დაუწერეთ მხოლოდ ის ნიშანი, რაც ეკუთვ-
ნის!“

— დაბრძანდით, აიღო ბილეთი. — ლიმილით მიმართა
პროფესორმა სახეგადაფითებულ ნიკოს, რომელმაც „უკაცრა-
ვადის“ თქმა ძლიერ მოახერხა და სათავურძლან მოულოდნე-
ლად გამომხტარ წრუშუნასვით კარებს მიაშრა.

უჩინეაჩინი

12

ვაჩისუბნერი დათა ყანჩაშვილი, რომელსაც ჟღადი წევრ-უდგაშის გამო წითელ დათას ეძახდნენ, შუახანს მიღწეული, კარგად შენახული ჲაცი იყო.

ლაუდაკა ღმუყებზე ნაოჭის კვადი არსად დაჭკრავდა. თვა-დები შედამ კეთილდად უცინოდა და სიტყვა-პასუხიც ისეთი ჰქონ-და, მამა-აბრამის ბატკანი გეგონებოდა.

ჩვიდმეტი ნერინგა შესრულდა, რაც დათა ყანჩაშვილი კოლმეურნეობის ნერი იყო და ჲერ ერთხელაც გუთანს არ მოჰ-კიდებია, ხედში ნამგადი არა სჭირია.

საკუთარ ვენახში თუ წამუშავებდა ღროდადრო თავშესა-ქცევად.

ვაზის ჩამოუარდნიდ ჩქას ჭიგოზე შეახვევდა, ან კიღევ ღობეში ნაქეცეულ მარგვის ძირს ჩაუნაცვლებდა.

მერე ჭიდობზე ნამონვებოდა, გალიმებული შესცეკროდა ჩქანაყარ ვაზებს და ასე გალიმებულს ძირი შეეპარებოდა.

— გაცივები, კაცო! — ძირში ჩაესმოდა და ორად გავე-ციდი ღაზღი მხარზე ჩბილად ღაცემოდა.

დათა ყანჩაშვილის ცხოვრება თავიდანვე ისე მოეწყო, რომ იგი კოლმეურნეობის საწყობსა და მარანს არ გაშორებია.

მარტო მოხერხება ან ბერი ღიღხანს ვერ შეინახვედა ასე უშფოთველად დათა ყანჩაშვილს, რომ ერთი საღოცავი ხატი მასაც არა ჰქონოდა.

რაგინდ გასჭირებოდა, კოლმეურნეობის ბელდიდან მარც ვაძს არ წაიღებდა.

რამდენი რევიზორი მოუღოვნელად თავს დასგეომია წითელ დათას. ერთი მისხალი ყველი ან ხორბადი არ დაჭვებია არას-ძროს.

ერთი ხედადა ღვინო მეტ-ნაკვები არ მოუვიღოდა მარანში. სახელმწიფოსთან იგი მუგად პირმართადი გამოღიოდა, მაგრამ ღიდ ცოდვად არ მიაჩნდა, თუ ხორბის გაცემის ღროს მისი სასწორი ყოველთვის მართადს არ იტყოდა.

განა ვერ ხედავდა გაბიღაური, რომ წითელი დათა წმინდა სული არ იყო, მაგრამ ხმას არ იღებდა: სახელმწიფოს არაფერი აკლებოდა, კოლმეურნეობის საწყობიც არაფერს კარგავდა — მას ჩა ენალვებოდა, თუ ყანჩაშვილი ხანდახან ღვინოს მო-ნათავავდა ან თაფრში სიმინდის ფქვილს შეურევდა, რომ წო-ნაში მეტი გამოსულიყო.

არავითარი გარეობა და ღროს ტარება დათამ არ იცოდა. წვეულებაში მხოლოდ მაშინ წავიდოდა, თუ იქ საჭირო კაცი ეგულებოდა.

ნაჩის სათამაშოდ მხოლოდ მაშინ მოიცდიდა, თუ ვინმე ღიღკაცს ეთამაშებოდა.

მეზობელმა არ მაჭობოსო, ამ შიშმა სიცოცხლე გაუმწარა დათა ყანჩაშვილს და ყველა ღიღკაცთან ისეთი ღაქუცი ასწავ-და — ნემსში მახათს გააძვრენდა.

შარბან წითელ დათას თვაღში მოუვიდა დამზადების აგენტის თანამდებობა.

მან იცოდა, ეს საქმე მართადი გზით არ გაკეთოებოდა. ამიტომ გაძასწყვიტა, რადაც უნდა ღაფლომოდა, რაიკომის მდი-ვანი კლიმენტი გოგუა მოეთაფედა, მისი გუღი მოეგო და საწა-ღედს მიერწია.

მაგრამ საიდან, როგორ! ეს აგრე ერთბაშად ვერ მოიფიქრა დათა ყანჩაშვილმა.

სწორედ ამ ღროს მისი ცოდი მოღოვინდა, წითელ დათას მეოთხე ვაჟი შეეძინა და შეიძება ამ ამბავს ღიდი ზეიმი და ღრეობა არ მოჰყობოდა ყანჩაშვილების ოჭახში, მაგრამ ერთ-ხედ, როგოსაც ცოლ-ქმარი ვახშმად ისხდნენ და ბიჭის სახელს ეძებდნენ, დათამ ტაში ღაჭკა და გახარებული წამოვარდა:

— ამ ბიჭს იმისთანა სახელს ღავარქმევ, ჩვენს ბერს ძალი არ ღაჭყუფს!

— ისეთი რა იპოვნე, კაცო, გამაგებინე!

— ბიჭმა იცის! — ჩაიცინა დათამ და მეორე ღლესვე ღიღი წვეულების თაღარიგს შეულება.

პირველი ვაჟი რომ შეეძინა, მაშინ არ გადაუხდია ყანჩა-შვილს ამგვარი ღწინი. არც ასეთი ძეირფასი სტუმრები ჰყოლია.

შუა ქეითვში რომ იყვნენ, დარბაზში ჩვიდი ბაღლი შემო-იყვანეს, „ჩვენი შეკრების მიზეზი“, როგორც თამაღამ გამო-აცხადა.

დათა მაშინვე წამოღგა და ბიჭუნა პირველად კლიმენტი გოგუას მიუყვანა, როგორც ცატივსაცემ სტუმარს.

— ღალატინონენ, ამხანაგო კრიმენტი, ღაბერიონ, მაგ-რამ ხომ ხედავთ, ერთი ვაჟუაცი ვაჟუაცი ვაჩუქე საქართველოს!

— ყოჩალი კაცი ხარ, დათა, ყოჩალი! — შეაქო გოგუამ.

თამაღამ კეღდიდან ვეება ყანში ჩამოილო და შასპინძელს გასძახა:

— შენი ბიჭის სახელი მითხარი, დათა! სახელი ახლავე უნდა ღავანათღოთ!

— კლიმგო! — მაშინვე მიუგო მასპინძელმა.

— რაო, რა ჰქვია?

— კლიმგო! — გაიმეორა დათამ და რაიკომის მდივანს გაღახება.

— ეს საღაური სახელია, კაცო! — გაოცდა გოგუა.

— ვერ მიხვდით, ამხანაგო კრიმენტი? — ხმაბაბდა უთხრა დათამ და მოერდი სახე ღიმიღლში ჩაუდნა.

— პირველად მესმის მე და ჩემმა ღმერთმა!

— თქვენი სიყვარული და პატივისცემა, ამხანაგო კრი-მენტი, სამუღამოდ უნდა ღაჩრეს ჩემს ღარებში! ამიტომ ჩემი შვილის სახელი, — დათამ ხმას უფრო ღაუშია და ბაგეზე ისევ იმ ტკბილმა ღიმიღლმა გაღაურებინა: — თქვენი გვარისა და სახე-დის პირველი ასოებიდან შევაღგინე! კლიმ — გო! კლიმენტი გოგუა!

გოგუამ არაფერი უთხრა, მხოლოდ ერთი კი შეხედა თვა-ლებში სახეგაბაღრუ მასპინძელს და რაღაც უცნაურად გაელიმა.

* * *

დათა ყანჩაშვილი რაიკომში მეორე ღლესვე გამოიძახეს. სასიკეთოდ ენიშნა ეს ამბავი დათას და ისე თამაღამ შეა-ლო გოგუას კაბინეტის კარი, თითქოს ნათღიმამის ოჭახში შეღიღოდა.

შეეძია თუ არა, რაიკომის მეორანდა ჭერ სკამი მიაწოდა, მერე წინ ქაღაბრი და კადმისტარი ღაუდო და სუსხიანად უთხრა:

— ღაჭეჭი და ღასწერე, შენს შევდს კლიმგო რატომ ღარ-ქვი!

დათას ეგონა, მეხუმრებაო და მეღიასავით წინ გაუგორდა.

— ცედი კაცის სახელი ღავარქვი თუ!

— ტყუიღად იცინი, დათა! — ხმა შეიმაღლა გოგუამ: — ღაწერე!

— რა ღავაშებე, ამხანაგო კლიმენტი!

— მაგას ამ საღამოს ბიურო განიხილავს! — მოკლე მოუჭრა რაიკომის მდივანმა.

ყანჩაშვილის ფერი ეცვადა. გუღმა მაშინვე უთხრა, სა-ქვეყნოდ თავის მოჭრას გიპირებენო.

ნამოღვად გადასახლდა: ბაზარის ბიჭის იპოვნა:

— ახელი არაფერი არ შემიძლია, ამხანაგო კრიმენტი, შინ ღავენერ და საღამოს მოგარისეობა.

პასუხის აღარ ღაუცარა, ქუდს ხედი ღაავდონ და კარი სასწ-რაფოდ გაიხურა.

ნავიღადა და წამოვარდან გაღიარების გადაიღებოდა.

სანამ კლიმენტი გოგუას სახელი მიაწოდა გამორჩენას ველარ ბეღავდა.



ნაკლები ჭურად-
ლება შეცვება საფუ-
როების გამოცდილი
კადრებით დაკომ-
პლექტებას. იყო შემ-
თხევები, როცა მა-
ღაზიებში სამუშაოები
მიიღეს. შემთხვევითი
პირები — ბალეტის
ყოფილი მსახიობები
და ცირკის მასხარა.



— განა რა ხაქონელი მიიღო ჩვენმა მიშამ, რომ ამდენი ხალხი ეხევა?!

— რა ხაქონელი, როს ხაქონელი, ძველი ხელობა გაიხსენა და ქეხატად რომ არ დარჩეს, მუშტარს
ოჭიდახ!

საჭამიასერი

— რაკი სოფელს საჭამიასერი ქვია, ჩვენც შესაჭმელად უნდა წავეტანოთ პირით, — ჩაულაპარაქა კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარებ ა. ზაქარეევშეილმა სოფლის მაღაზიის საწყობის გამგეს რ. კვინტრაძეს და „საქმეს“ გზა მისცეს.

შედეგი ერთი წლის შემდეგ გამოაშვარავდა: ა. ზაქარეევშეილმა და რ. კვინტრაძემ მრავალი ათასი მანეთი მიითვისეს. საგამომძიებლო ორგანოებმა მაღა გაუფუჭეს მადა, თორემ ისინი მართლაც შექამდინენ საჭამიასერის სოფლის კოოპერატივს...

მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა: ჭამის მადა აქ მოძრავი აღმოჩნდა: სოფლის საფოსტო განყოფილებისა და შემნახველ საღარისაკენ გადაინაცვლა. ამ სიმპათიური დაწესებულებების გამგემ ნ. ნაცვლიშვილმა კოლმეურნეთა დანაზოგები და გასაცემი პენსიები თავის ჯიბეში მოათავსა.

ნ. ნაცვლიშვილსაც რევიზიონ მოუსწრო. აბეზარი რევიზორების „გასტუმრებამდე“ მან სესხად 7.000 მანეთი გამოართვა მაღაზიის საწყობის გამგეს, მაგრამ დანაკლისის დასაფარავად ეს თანხა საქამიარისი არ აღმოჩნდა და ნ. ნაცვლიშვილი თვითონ გაისტუმრეს სადაც საჭირო იყო. საწყობის გამგეს კი აღარავინ ჩასესხა ფული და შვიდი ათასი მანეთი სახლიდან მოიტანა საღარის შესავსებად. აი, რას ნიშნავს „თავ-შენახული“ კაცი.

საჭამიასერზე ჭამა და სეირი არც ამით დამთავრებულა. ჭამისა რა მოგახსენოთ და „სასეირო“ ამბები ახლაც მრავალდაა.

საჭამიასერელებს გვაქვს კლუბი, ბიბლიოთეკა, სადაც... მაგრამ გადავავლოთ თვალი ჯერ კლუბს.

აქ ისე წვიმს, როგორც გარეთ და კინოსურათის ჩვენების დროს უქოლგოდ არავინ მოღის. როცა კლუბი მაყურებლებით გაიჭედება (ეს კი ხშირად ხდება) ადვილად მოსალოდნელია ბოძებამოცლილი და დამპალი იატაკის ჩანგრევა. შეიძლება საექიმო პუნქტი სწორედ ამიტომა მოთავსებული სამკითხველოს დარბაზში, რომ დაზარალებულებს აღგილზევი გაუწიოს დახმარება?

კლუბის შეკეთებაზე თანხებია გამოყოფილო — ამბობენ, მაგრამ კლუბი რომ დასანგრევადაა გამზადებული — ამას თვალით ვხედავთ, თანხები კი, აბა, სხვის ჯიბეში საიდან გამოჩნდება?

ჰო, პატარა ცნობა საექიმო პუნქტის შესახებაც. ამ პუნქტს საკუთარი შენობა პქნდა სოფლის აფთიაქის გვერდით. ჩოხატაურის ჯანმრთელობის განყოფილების მითითებით აღნიშნული შენობა დაანგრიეს, ფიცრები და კრამიტი ცისქვეშ დაყარეს და პუნქტის თანამშრომლებს გამოუცხადეს:

— სანამ ახალი საავადმყოფოს მშენებლობა დამთავრდება, კლუბში მოთავსდით, მხიარულად იქნებითო. მართლაც „მოთავსდნენ“ ისინი, მართლაც მხიარულად არიან თვითონ თუ არა, მათი შემხედვარენი მაინც. საგადმყოფო 1945 წლიდან შენდება, შენდება და დღესაც არ უჩანს სასიკეთო პირი. რა გაეწყობა, დავუცალოთ, როდისმე ხომ ექნება ბოლო მოლოდინს!

ასეთი სასეირო ამბებით შემომეგება ნიანგის ჩიტკორეს-პონდენტი საჭამიასერში.



მდივანები და უკანას

(იგავე)

ხელქვეითი თავის უფროსს ახლდა ერთხელ სანადიროდ,
მოიარეს მთა და ბარი, ტყე, ჭალა და სანაპირო.

ბოლოს, როცა დაღლილებმა წყაროს პირას ნახეს ჩრდილი,
ხელქვეითი თავის უფროსს მიუბრუნდა დაღრეჯილი:

— „იცით, პეტრე ბართლომეს ძევ? თქვენი ყურშა დაიღალა“,—
პატრიონს თვალით ანიშნა და პირუტყვისკენ დაიხარა:

— „ქუცი, ქუცი, შე საბრალო, ცოდო კი ხარ კაცის ხელში,
ცისმარე დღე დაოთხილი რომ დარბიხარ ამ სიცხეში.

რად წყმუტუნებ, შე ლაქუცავ? შეხეთ, შეხეთ, მთლად გამლოკა“, —
და უფროსის დასანახად მიუშვირა ძალლს მან ლოყა.

— „დაიღალა, ბართლომეს-ძევ, მაგრამ რა ჰქნას, უთქმელია,
დილით ძილიც არ ვაცალეთ, წამოვაგდეთ უთენია.

ვერ უყურებთ როგორა თვლების? ეტყობა ეგ აქ იძინებს,
ყეფის თავიც ალარა აქვს, კუდსაც ველარ აქიცინებს.

მაგის ცოდვით ვიფერფლები, გული მექუცეს ლამის ნაცრად,
მოდი ყურშამ დაისვენოს, დღეს მე ვირბენ მაგის ნაცვლად“.

* * *

თუ ამ კალმის ნაეშმაკარს ჩვენ გონების თვალით განვსჯით,
რა მორალი შეიძლება ჩავაქსოვოთ ამ იგავში?..


თუმც ეს იგავს სულაც არ ჰგავს, თქვენ რომ ლექსის პწყარში ნახავთ, —
ეს ცხოვრების სინამდვილის უტყუარი ასლი გახლავთ!

გიხ. გოგიაზვილი

მიმდევრობა გავაკენეს!

ნახ. ა. კანდელაქიძა

საგარეუბნო მატარებელთა შემადგენლობები დროშე ადრე ივსება ხალათ. ამ უწესრი-
გობას ყურადღებას არავინ აქცევს.



— შოიცათ, ბავშვებო, ვაგონში ჩაჯდომა ჯერ აღრეა, აქ ნამდვილი რეინიგზა კი არ არის, ხაბავშვოა,
წესრიგი უნდა დაიცვათ!



თბილისში პაპანაქება სიცხვე და-იჭირა. კაცს სული ვერ მოუთქამს, სი-ცხის კორიანტელს აყვავებულ ვარდის-თვეის ფოთლებზე შეუკევნია. არის საგ-ზურების ძებნა, გეოგრაფიულ რუკებზე საკურორტო ადგილების შერჩევა, საა-გარაკოდ ამხედრებული ქალების იერი-შები და სხვა არასასიამოვნო, თუ სასია-მოვნო მოქმედებანი.

თბილისის ავტოშემქეთებელმა ქარ-ხანამ ადრევე მიიღო ზომები ქარხანაში შესაკეთებლად ჩასაბარებელი ავტომან-ქანების შოფრების სიცხე-პაპანაქებისა-გან გადარჩენისათვის. ქარხანაში მი-სასვლელი ქუჩა ჯერ კიდევ მარტში გა-იცსო „დამსვენებლებით“, — საქართვე-ლოს სხეადასხვა კუთხიდან ჩამოსული ავტომანქანებით. გამოცდილი ავტო-მძლოლები „აგარაკზე“ მომზადებულნი წა-მოსულან, მანქანებზე სახელდახელო კარ-ვები მოუწყვიათ, ჩრდილი გაუკეთებიათ

და მხართეძოზე წამოწოლილი „მხია-რულად“ გაჰყურებენ ერთმანეთზე მიწყო-ბილ შირავანი და გარეგანი ავადმყოფო-ბით დასნეულებულ რიგში მდგომ ავტო-მანქანებს.



ზოგიერთი „დამსვენებელი“ უკვე მესამე თვე ტებება თბილისელთა მასპინ-ძლობით, მანქანის საბარეულზე მოწყო-ბილი მოწყენილი გაჰყურებს ავტომანქა-ნების მისალებ პუნქტს და მხიარულად იძახის: „გარდაგვეხდა გადასახდელი, აწ უარესსა მოველიო“.

ამ რამდენიმე წნის წინ ქარხნის დირექციის მიერ გამოყოფილი იქნა ჯილ-დო ყველაზე უფრო დიდი წნით რიგში უმიზნოდ მდგომი ავტომანქანის დასა-ჯილდოებლად. ეს საპატიო ჯილდო მიიღო მანქანა გლ 08-17-მა (ვათავ-სებთ ფოტოსურათს), რომელიც ოთხი თვეა ისვენებს ქარხნის მისადგომებთან. ჯილდო არ მიუღიათ იმ ავტომანქანებს,

რომლებიც ჯერ მხოლოდ ორი და სამი თვეა რაც ელოდებიან რიგს.

ბოროტი ენები ამბობენ — შეკეთე-ბის გარეშე დარჩენილ ავტომანქანებს უმოქმედობისაგან უანგი სჭამს და მათ ავტომძლოლებს კი ჯავრიო. ნიანგი ლრმად არის დარწმუნებული, რომ ქარ-ხნის დირექცია როგორმე „ასწავლის ჭიუას“ ამ მანქანების ჯიუტ მეპატრონე-ბს, დაწესებულების ხელმძღვანელებს, რომლებიც ყოველგვარი ტექნიკური ნორმების გარეშე გზავნიან თბილისში შესაკეთებლად უკვე „გარდაცვლილ“ მანქანებს და უარის მიღების შემდევ ვი-ლაც პროტექტორს ელოდებიან, რომ გინდა თუ არა მიაღებინონ სარემონ-ტოდ თავიანთი მანქანა.

მძლოლიც აღამიანია, ამხანაგო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებო, სხვა რომ არა იყოს რა, თვეობით მისი მოც-დენა სახელმწიფო დანაშაულია.



პირველ ხურათზე აღნებდილია საბარეო შანქანა, რომლის პატრონს, როგორც ეტყობა, ადრევე შექნია გამოცდი-ლება თბილისში ხარებონტოდ მოცდა-მოცდენისა და მანქანა კაპიტალურად მოუმზადებია ბუნების უოველგვარი საშიში მოვლენების წინააღმდევ. მეორე მანქანის პატრონი კი, როგორც ჩანს, გამოცდელია და როცა მისი მანქანის მძლოლი ექვე თვეს უშედეგოდ ცდის შემდეგ უკანევ დაბრუნდება, მიღებული ავტომემონდგამოცდილება მომავალ სარემო-ტო წლისათვის გასაც მოაფიქრებინებს აწალი საფარ-კონსტრუქციის შექმნას.



1951 წლიდან ქ. თბილისის კიროვის რაიონის საბინაო სამართველოს № 133 სახლმართველობასა და თბილუნივერ- მალის დირექტორის შორის ცხარე დავა წარმოებს. სახლმართ- ველობა უმტკიცებს მოწინააღმდეგებს, - ლესლიძის ქ. № 30-ში მოთავსებული დარაბა თქვენ გეკუთვნით, ხოლო თბილუნი- ვერმალის დირექტორი ათი ხელით უძრს ამბობს შემთავაზე- ბულ წყალობაზე და დარაბის აბრაზე უთითებს, რომლის მი- ხედით დარაბის მებატრონეთ თბილუნიველობა გვევლინება.

მართალია, 1951 წელს სახლმართველობასა და უნივერ- მალს შორის ხელშეკრულება დაიდო იმ დარაბის თაობაზე, მაგრამ უნივერმალმა დარაბა ვერ მიიღო მხოლოდ იმის გამო, რომ კვებაჭრობამ არ მოისურვა მისი განთავისუფლება.

1951 წლის მეოთხე კვარტალისა და 1952 წლის პირველ და მეორე კვარტალების საიჯარო ქირა 6173 მახეთის რაო- დენიბით საბინაო სამართველომ, როგორც ურჩ გადამხდელს, ძალით აართვა უნივერმალს მიმდინარე ახგარიშიდან, მრავა- ლი მიწერ-მოწერისა, დავისა და სასამართლოებში საჩივრების შეტანის შედეგად უნივერმალმა შესძლო უკან მიეღო წარმე- ული თანხა.

გასული წლის ორმა უკანასკნელმა კვარტალმა მშეიღო- ბიანად ჩაიარა.

და აი, წელს, სახლმართველობამ კვლავ ძალატანებით მიიღო უნივერმალისაგან კვებაჭრობის გადასახდელი პირვე- ლი კვარტალის საიჯარო ქირა—1612 მახეთი.

სახლმართველობა № 133 სიონის ქ. № 7-შია მოთავ- სებული და იმ დარაბიდან სულ რაღაც ათიოდე ნაბიჯის და- შორებით იმყოფება. კარგი იქნება სახლმართველმა ამხ. გ. ვარ- ცუმიანმა გზად გავლისას მაინც წაიკითხოს, თუ ვის მეშვე- ბის ლესლიძის ქ. № 30-ის დარაბა და ამით თავიდან ააცი- ლოს ორ არგანიზაციას აურზაური არაფრის გამო.

რასაკირველია, ჰერინი კაცი ასე შოიქცეოდა.

3. სიმონიძე

რეპლიკანტი



ორა ტორი — ჩერენი დირექტორის უყაირათობა, ამხა- ნაგებო, ის უყაირათობა გახლავთ...

თავმჯდომარე — რეგლამენტი გაგითავდათ, ამხა- ნაგო, რეგლამენტი...

ორა ტორი ... ის უყაირათობა გახლავთ, რომელიც მისმა მტრებმა შეთხვეს...

თავმჯდომარე — განაგრძოს ამხანაგმა, საქმიანად ლაპარაკობს...

ჩერენი ეზოს თავგადასავალი

ეს ეზო თბილისში, ნინოშვილის ქუჩაზე № 26-ში მდება- რე რამდენიმე შენობის გასაღვარს წარმოადგინს. იგი, რო- გორც ბოგებსენებათ, საბინაო სამართველოს გამვებლობის სა- განს შეაღებს და მრავალ ტანჯვათა და თავგადასავალთა გა- დამტანი გახლავთ.

ჩერენი, ამ ეზოს სხვადასხვა კუნძულში მცხოვრებ მობინად- რებს, ყოველ თვის გვანტეტერებებს მისი კეთილმოწყობა. ჩერენი ბავშვებს თამაშობა უნდათ, ან ნარგავების ჩრდილში თავის შეფარება, ან ვეგიოლებისა, თუ პატია ბაღჩა-ბოსტნის გაშენე- ბით თავის შექცევა. ამში დასახრას ვერაფერს ეხედავთ, ვეხ- ბარებით კიდეც ბავშვებს ამ კარგ საქმეში, რადგნ ეზო დიდია, შესძლებლობა არსებობს — თუნდ ცხენი გაქმნდება კუთხიდან. კუთხეში.

ჩერენი რაიონის საბინაო სამართველო კი... ეპხ, რამდე- ნი მართველი მოსულა და წასულა, მათ შორის ზოგს ზოგ- ვის სურვილიც კი გამოუჩენია, მაგრამ განა სახლმართველო- ბის ქალალის გულს შეუძლია ასეთ სათუთ რამები იზრუნოს?

ყვავილები და მწვანე ნარგავები რა სათქმელია! ამხელა ეზოს ერთი ლობე ვერ ალირს ჩერენი რაიონის საბინაო სამართ- ველობა. ლერითმა გვიმრავლოს, უბანში ბევრი გვყავს შოთერები. მათ მშვენივრად იციან ამ ეზოს „უპატრონობის“ ამბავი და თვითონ ეპატრონებიან მას. იცოცხლეთ — განუწყვეტლი მა- ნერიორება და დაუსრულებელი გრუზუნ-გუგუნი აქ არის საბარ- გო, თუ მსუბუქი მანქანებიას. ეს გახლავთ დღისით, ლამით, შუალმისას, გათენებისას. ყველა ლჯახში იქრება შოთერების აურზაური, საყირის ხმა, გრიალი.

ერთხელ, სამიოდე წლის წინათ, ჩერენი რაიონის საბინაო სამართველოში, ეტყობა ჩერენმა მეათას თხოვნამ ვილაცას გუ- ლი აუზუყა და... ნუ გაგიკირდებათ, სამართველომ აგურის ლობის შემოვლება დაუწყო ჩერენი ეზოს უნდა გენახათ ჩერენი ზეიმი, ჩერენი ბავშვების ალტაცება ცასა სწვდებოდა. ლობე, აგუ-

რის ლობე თითქმის მზად იყო, ალაყაფის გაკეთებალა აკლდა.

და, აი, უცცებ ვილაცა ქუსის კოლოფს სამართველოში აზრი დაებადა, რომ ლობის მასალიდან შეიძლება აშენდეს ნაგ- ვის დასწავად ლუმელიც!

— რად უნდა ეზოს ლობე, შემოულობა ეზოს ვინ მოი- ტაცებს! არ ჯობია ეგ ლობე დავინგრიოთ და ნაგვის საწვავი დიდი ლუმელი ავაგოთ ისე, რომ მეზობელი სახლებიდანაც აქ მოვზიდოთ ნაგავი და დაგუწვათ?



— ჯობიაო, დაასკენეს, აშენებული ლობე დაანგრიეს, აგურებისაგან ლუმელი ააგეს, შეამოწმეს და ახლა ისიც დაას- კენეს, რომ ლუმელი არ ვარგა, ამიტომ სახლმართველებმა ლუმელიც დანგრიეს და აგურები სადღაც გააქრეს.

კიდევ მოხდა საკირკველი ამბავი: ამ ცოტა ხნის წინ ჩერე- ნმა საბინაო სამართველომ, ეტყობა შეიბრალა ეს მრავალშა- მებული ეზო და ახლა ფიცრის ლობე შემოავლო, ნამდეილი ლობე, შესავალი კარებიც კი, ჲა, ის იყო უნდა გაეკეთებინათ, რომ „თელასის“ მოირე საექსპლოტაციო უბნის მუშაკებს ტრანსფორმატორის შემოტანა დასკირდათ ჩერენს ეზოში. შე- მოეტანათ, კეთილი იყოს მათი განხარახვა, ვინ დაუშლიდა?

მაგრამ ჩერენს „დაშლას“ ვინ უყურა, შემოავენა ვილაც ხულიგანმა შოთერება თავისი ტრანსფორმატორიანი მანქანა და მთელ გასაღვარებებს მოგლიჯა, მიღეწ-მოლეწა და მიყარ-მოყა- რი ჩერენი ახალი ლობე. მიღეწ-მოლეწა და წავიდა. ის ხული- გან შოთერი თურმე იმით „დასაჯეს“, რომ მის დაუსწრებ- ლად ოქმის შედგენა მოისურვეს. გაფანტული ფიცრები კი დღესაც ყრია ეზოს შემოსავლოთ და, ალბათ, იმ ძველი აგუ- რებით გაქრობას ელის.

ე-ე! ჩერენი ეზოს თავგადასავალი სტალინის რაიონინაო სამართველომ რომ იციან, თუნდ ქვის გული ჰქონდეს, მაინც გული აუზუყდებოდა.

6. ორნავილი



რედაქტორი კარლ კალა ე. სარედაქტო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელაშვილი,

ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფარცხალავა.

თბილისი. სატირიკული ჟურნალ „ნიანგი“. რედაქტორის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

სტალინის დასაბაზო 1953 წ. 20/VI. სტალინის „ზარია გოსტიკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. ვებ. № 1832 გამოც. № 11 ტირ. 15.000 უ. 04980.



ს ა გ ა რ ა ნ ა თ შ ი

საბერძნეთში ჯერ კიდევ არ აღუდგენათ ომის დროს დანგრეული მრავალი სკოლის შენობა. სახელ-მწიფო უმოსავლის დიდი ნაწილი კი სამხედრო ხარჯებს უნდება.

— იქით უძველესი ძეგლი განლაგო, ბატონები, რომელიც შეოთხე საუკუნის შესამე შეოთხედს ეკუთვნის ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ეს კი ჩვენი ხაუკუნის შეორე შეოთხედის ძეგლია და ახალი ომისათვის მზადებით გამოწვეული ხისაძეგლები..